

ქალთა ჩართულობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

ელენე ცხვარიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე

ასისტენტ-პროფესორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2016

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ელენე ცხვარიაშვილი.....

თბილისი, 1 ივლისი, 2016

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ქალთა ჩართულობის საკითხს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაშრომი ფოკუსირდება იმაზე, რომ გავიგოთ, თუ რა მდგომარეობაა გენდერული კუთხით და არსებობს თუ არა რეალურად გენდერული უთანასწორობის პრობლემა პოლიტიკურ პარტიებში. რა ნაბიჯები გადაიდგა გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და რამდენად მისაღებია გენდერული კვოტა, როგორც გამოსავალი? ნაშრომში აგრეთვე წარმოდგენილია ლიტვის, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნის მაგალითი გენდერულ ჭრილში.

ნაშრომი, მეთოდოლოგიური კუთხით, შერეული კვლევის კატეგორიაში მოიაზრება. მასში გამოყენებული იყო როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის შედეგები, რომელთაც ერთმანეთი შეავსეს და მოგვცეს საშუალება გაგვეანალიზებინა პრობლემა და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები. გამოყენებული იყო როგორც პირისპირ ინტერვიუ, ასევე - ელექტრონული კითხვარი. ეს კითხვარები გაეგზავნათ კვლევაში შერჩეულ პოლიტიკურ პარტიებს.

როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, პარტიების უმრავლესობაში არსებობს ე.წ. „ქალთა ორგანიზაცია“, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქალთა გააქტიურების ხელშეწყობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, ამის მიუხედავად, პარტიების უმრავლესობას არ აქვს გაკეთებული სრული გენდერული ანალიზი; მაგალითისთვის, პარტიების უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას პარტიაში მდებრობითი სქესის რა ნაწილს აქვს უმაღლესი განათლება. ასევე, პარტიებს არ აქვთ შემუშავებული კონკრეტული გეგმა პარტიის შიგნით არსებული მდებრობითი სქესის წარმომადგენლების მოტივაციის გაზრდისთვის. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა სათანადოდ ვერ აცნობიერებს საკუთარ როლს ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის კუთხით. კვლევამ გამოკვეთა ასევე ისიც, რომ პარტიების უმრავლესობაში ქალთა და მამაკაცთა გადანაწილება არათანაბარია, ზოგ

პარტიაში კი ქალები ძალიან დაბალი პროცენტით არიან წარმოდგენილნი. პოლიტიკურ პარტიებს სავალდებულო გენდერულ კვოტასთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება აქვთ, თუმცა, უმრავლესობა თანხმდება, რომ კვოტა, როგორც დროებითი ზომა, ამ ეტაპისთვის მისაღებია.

აღსანიშნავია, რომ პირისპირ ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პარტიიდან და ზოგადად - პოლიტიკიდან ქალების წასვლის მიზეზი („ქდმ“-მაგდა ანიკაშვილი) სქესის ნიშნით დისკრიმინაცია არ ყოფილა.

და ბოლოს, იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური პარტიების როლი უმნიშვნელოვანესია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის თვალსაზრისით, საჭიროა თავდაპირველად პარტიებში მოხდეს გენდერული თანასწორობის დაცვა და პარტიულ საქმიანობაში (გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე) ქალების აქტიური მონაწილეობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, გენდერული კვოტა, ქალთა ჩართულობა, პოლიტიკური პარტიები.

Abstracts

Master's thesis is devoted to the issue of women's participation in Georgian political life. The thesis is presented to understand what the situation is in terms of gender and whether there is actually a problem of gender inequality in the political parties. What steps have been taken to eliminate gender inequality in the political life and the acceptability of gender quotas as a way out?

The paper also includes Lithuania, as an example of Post-Soviet countries in terms of gender.

The paper, from the methodological point of view, the Joint Research category considered. It was used as qualitative as well as quantitative research results, which were complementary and allow us to analyze the problem and develop recommendations. It was used as a face to face interview, as well as - an electronic questionnaire. These questionnaires were sent to study in selected political parties. As the research shows, the majority of the parties have "women organizations", aimed at the promotion of women in political life. However, despite this, majority of the party has not made a full gender analysis. For instance the parties are not aware of the party in the female part of a higher education.

Also, the parties do not have a specific plan for a party inside the female representative to increase motivation. Political parties are not sufficiently aware of their role in terms of women's political participation. The study revealed also by the fact that the majority of the parties are unequal distribution of men and women, some in the party are very low percentage of women that are under-represented.

Mandatory gender quotas in political parties of different opinions have agreed that the quota as a temporary measure, this stage is acceptable.

The face to face interviews revealed that the party and the general - from politics to women the reason ("The Christian Democratic Party - CDP" - Magda ANIKASHVILI) sex discrimination was not.

Finally, given the essential role of political parties in terms of women's participation in political life, first requires parties to ensure gender equality and the protection of political activity (in decision -making positions) active participation of women.

Key Words: Gender equality, Gender quotas, Women's participation, Political parties.

მადლობა

მსურს, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო სამაგისტრო ნაშრომის „ქალთა ჩართულობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში“ ერთ დოკუმენტად ჩამოყალიბებაში.

მადლობა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ არჩილ აბაშიძეს, მუშაობის პროცესში საინტერესო რჩევების მოწოდებისა და ნაშრომის თავების საგულდაგულოდ წაკითხვისათვის;

მადლობა იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც ითანამშრომლეს ჩემთან და კვლევის განხორციელებისათვის ხელი შემიწყო.